



ყოფილ საჭმლეთა რესპუბლიკების და აღმოსავლეთ  
ბლუკის ქვეყნებში სახელმწიფო აკრძავების ღირებულების  
შეფასების რევიზიები და კვლევის შედეგები

2019

# სარჩევი

აბსტრაქტი.....	2
შესავალი.....	2
რატომ არის მნიშვნელოვანი არქივების ღიაობა პოსტ-საბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში? .....	2
კვლევის მეთოდოლოგია.....	4
პირითადი მიგნებები.....	7
შეფასების შედეგების ანალიზი.....	8
ღიაობის რეიტინგი.....	8
საარქივო კანონმდებლობა.....	11
არქივებთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობა.....	16
საარქივო სერვისები.....	20
არქივის ვებგვერდი.....	22
მკვლევართა დარბაზი .....	25
განსხვავებები 2018 წლის შედეგებთან შედარებით.....	32
დასკვნა და რეკომენდაციები.....	33



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

მასალის გამოქვეყნება დააფინანსა "ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდმა" (OSI), პროექტის - „სახელმწიფო არქივების ღიაობის ხელშეწყობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში“ ფარგლებში. ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს" (IDFI) და არ ასახავს "ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდის" (OSI) პოზიციებს. OSI არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

# აბსტრაქტი

2017 წელს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საერთაშორისო მკვლევრებთან ერთად დაიწყო პროექტის - „სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში“ განხორციელება.

პროექტის მიზანი იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში სახელმწიფო არქივების შეფასება, რათა დაინტერესებულ პირებს მისცემოდათ შესაძლებლობა გაეგოთ თუ რა დონის ღიაობას სთავაზობდა მკვლევრებს ესა თუ ის სახელმწიფო არქივი და რა დონეზე იყო უზრუნველყოფილი საარქივო დოკუმენტებზე წვდომა კონკრეტულ ქვეყანაში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იმ არქივების ღიაობა, რომლებში დაცული დოკუმენტებიც იძლევა რეპრესიების მსხვერპლთა იდენტიფიცირებისა და მათი სამართლებრივი რეაბილიტაციის შესაძლებლობას.

2017-2018 წლების პროექტის ფარგლებში შეიქმნა სახელმწიფო არქივების ღიაობის შეფასების მეთოდოლოგია და შეფასდა 10 ყოფილი საბჭოთა ქვეყნის 20 არქივი. პროექტი გაგრძელდა მომდევნო წლებშიც (2019-2020) და რეიტინგს აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის 8 ახალი ქვეყანა დაემატა. პროექტის შედეგად თითოეულ ქვეყანაში შეფასდა 2 არქივი.

**საკვანძო სიტყვები:** სახელმწიფო არქივები, ყოფილი სპეცსამსახურების არქივები, პოსტ კომუნისტური ქვეყნები, რეპრესიები, სიმართლის ცოდნის უფლება, მსხვერპლები, საარქივო მეცნიერება, საარქივო კანონმდებლობა, ინფორმაციის თავისუფლება.

# შესავალი

რატომ არის მნიშვნელოვანი არქივების ღიაობა პოსტ-საბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში?

არქივების გამჭვირვალობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია ყველა ქვეყანაში ისტორიის შესწავლის კუთხით, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ეს საკითხი წინ იწევს ისეთ ქვეყნებში, სადაც არქივებს ძალუძს სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლთა იდენტიფიცირება და მათი სამართლებრივი რეაბილიტაცია. რეგიონში,

რომელიც IDFI-ს პროექტმა მოიცვა, სახელმწიფო არქივები, განსაკუთრებით ე.წ. „სარეჟიმო არქივები“<sup>1</sup> ამ მხრივ უდიდეს როლს ასრულებენ.

არქივებზე წვდომა პოსტ საბჭოთა ქვეყნებში დღემდე სადავო საკითხია. დემოკრატიული ტრანსფორმაცია, დესოვიეტიზაცია და საბჭოთა წარსულის გააზრება სხვადასხვა ტემპითა და გზით მიმდინარეობდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. 70 წლის განმავლობაში, საბჭოთა ხელისუფლება ისტორიას იყენებდა როგორც იდეოლოგიურ იარაღს, რომელიც მოკლებული იყო რეალურ ფაქტებს: ისტორია სავსე იყო ფალსიფიკაციით, არასწორი ინტერპრეტაციით, კომუნისტური პოსტულატებითა და კლიშეებით. ერთადერთი სივრცე, სადაც კომუნისტები იყვნენ გულწრფელი, იყო საიდუმლო და განსაკუთრებით საიდუმლო დოკუმენტები, რომლებსაც საბჭოთა ბიუროკრატის უმაღლეს სამთავრობო ეშელონებსა და მმართველ ელიტაში ტრიალებდა და რომლების დღესდღეობით არქივებშია დაცული. შესაბამისად, საარქივო კვლევის გარეშე, შეუძლებელია საბჭოთა პერიოდთან დაკავშირებული ისტორიული და სამეცნიერო კვლევების განხორციელება.<sup>2</sup>

კომუნისტური და მისი სატელიტი ტოტალიტარული რეჟიმის დროს, რომელიც მეოცე საუკუნეში ბევრ სახელმწიფოში დამყარდა, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა დარღვევის მძიმე მაგალითებს. დღესდღეობით რეჟიმი პასუხისმგებელია ფართომასშტაბიან და სისტემურ რეპრესიებზე მილიონობით ადამიანის წინააღმდეგ, რაც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევებში გამოიხატებოდა. 1990-იან წლებში კომუნისტური რეჟიმის დანგრევის შემდეგ, პოსტ საბჭოთა ქვეყნებს დაუდგათ საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ გაეანალიზებინათ წარსული და საჭიროების შემთხვევაში დაეყენებინათ ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობა, ამის შესაბამისად კი მოეხდინათ მსხვერპლთა რეაბილიტაცია. ამ მხრივ ქვეყნებმა განსხვავებული გზები აირჩიეს.<sup>3</sup>

ევროპის საბჭოს რეზოლუციის თანახმად, ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის დანაშაულებს შორის იყო მკვლელობა და სიკვდილით დასჯა, საკონცენტრაციო ბანაკებში სიკვდილი, შიმშილი, დეპორტაცია, წამება, მონური შრომა და ფიზიკური ტერორის სხვა ფორმები, ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე შევიწროება, რწმენის, გამოხატვისა და პრესის თავისუფლების შელახვა.<sup>4</sup>

ტოტალიტარული და კომუნისტური რეჟიმების მმართველობის დროს ჩადენილ დანაშაულებზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია სტეფან კურტუას და სხვა

<sup>1</sup> ე.წ. „სარეჟიმო არქივები“ ინახავენ იმ სახელმწიფო დაწესებულებების დოკუმენტებს, რომლებიც ახორციელებდნენ რეპრესიული ხასიათის ქმედებებს.

<sup>2</sup> Anton Vatcharadze, Regime Archives, Memory of Nations: Democratic Transition Guide – the Georgian Experience, “CEVRO”, Prague, 2020.

<sup>3</sup> Gruodytė E., Gervienė S., Access to Archives in Post-Communist Countries: The Victim’s Perspective, Baltic Journal of European Studies, Tallinn University of Technology, Vol. 5, No. 2 (19), 2015, pp.148.

<sup>4</sup> Resolution No. 1481 on need for international condemnation of crimes of totalitarian communist regimes, Parliamentary Assembly, Council of Europe. 2006.

თანაავტორების „*The Black Book of Communism*“ (1999). სხვა მსგავსი ნაშრომებია: ტიმოთი შნაიდერის „*Bloodlands: Europe between Hitler and Stalin*“ (2010); რობერტ კონქუსტის „*The Great Terror: A Reassessment*“ (1980); ჯ. არჩ გეტის „*Origins of the Great Purges*“ (1985); პიტერ უიათიუდის „*The Red Army and the Great Terror: Stalin's Purge of the Soviet Military*“ (2015) და სხვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ადამიანის უფლებების დასაცავად, არქივები და რეპრესიულ რეჟიმთან დაკავშირებული დოკუმენტები უნდა იყოს ღია. არქივების შექმნა და შენახვა სახელმწიფოს ინტერესებშია და სწორედ სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა დოკუმენტზე წვდომის კონტროლი. თუმცა, გარდაუვალია კონფლიქტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და კონფიდენციალურობის/ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებს შორის. თანამედროვე სახელმწიფოების დისკრეციას წარმოადგენს აღნიშნულ ინტერესთა შორის ბალანსის დადგენა, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.<sup>5</sup>

## კვლევის მეთოდოლოგია

IDFI-ს და ორგანიზაციის პარტნიორმა მკვლევრებმა არქივების ღიაობა შეაფასეს 18 ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ბლოკის რესპუბლიკაში, რომელთა შორის არიან სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ბულგარეთი, ჩეხეთი, საქართველო, უნგრეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა და უზბეკეთი.

შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს არქივების ღიაობის საკვანძო სამართლებრივ და პრაქტიკულ ასპექტებს. მეთოდოლოგია შედგება 5 კომპონენტისაგან:

- საარქივო კანონმდებლობა - რამდენად უზრუნველყოფს კანონმდებლობა სახელმწიფო არქივების ღიაობას;
- სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც არქივების ღიაობას უკავშირდება – რამდენად უზრუნველყოფს ქვეყნის სხვა ტიპის კანონმდებლობა (მაგ.: კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, კანონი სახელმწიფო საიდუმლოს შესახებ და ა.შ.) სახელმწიფო არქივების ღიაობას;
- საარქივო სერვისები - რამდენადაა არქივის სერვისები ხელმისაწვდომი და განვითარებული;
- საარქივო ვებგვერდი - რამდენადაა ინტერნეტ რესურსები გამოსადეგი მკვლევრებისთვის და რამდენად უზრუნველყოფს ის ღიაობას;

<sup>5</sup> Gruodytė E., Gervienė S ... 2015, pp.155.

- მკვლევართა დარბაზი – რამდენადაა მკვლევართა დარბაზი და მასთან დაკავშირებული რეგულაციები მოწესრიგებული.

მეთოდოლოგია შემუშავებული იქნა პროექტის პირველ ეტაპზე, პარტნიორების დახმარებით. კერძოდ, არქივის პრაქტიკოსი მკვლევრების და იმ აქტივისტების მეშვეობით, რომლებიც ეწევიან საარქივო დოკუმენტების ღიაობის ადვოკატირებას, ასევე საარქივო მეცნიერების აკადემიური წრის წარმომადგენლების მიერ. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში, გასცეს მრავალი რეკომენდაცია და უზრუნველყვეს მეთოდოლოგიის თითოეული პუნქტის იმ საბოლოო ფორმამდე მიყვანა, რასაც დოკუმენტი დღეს წარმოადგენს. ექსპერტებს შორის იყვნენ:

- მალკოლმ ბირნი - ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ეროვნული უსაფრთხოების არქივის კვლევითი დირექტორი, აშშ;
- ჯეიმს ლოური - ლივერპულის უნივერსიტეტის მკვლევარი; დიდი ბრიტანეთის ღია მთავრობის პარტნიორობის (OGP)-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ხელმძღვანელობდა საარქივო დოკუმენტების მენეჯმენტს (Records Management), დიდი ბრიტანეთი;
- ტომას უელსფორდი - ისტორიკოსი, All Souls College, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი;
- იოახიმ ფორსტერი - ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დოკუმენტების ფედერალური კომისარი, გერმანია;
- ანდრეი კოჰუტი - უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის (SBU) არქივის დირექტორი;
- ინგუნა სლაიდინა - ლატვიის ეროვნული არქივის დირექტორის მოადგილე;
- ტიმოთი ბლაუველთი - საბჭოთა წარსულის ისტორიკოსი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო.

ასევე პროექტის პარტნიორი მკვლევრები 2018 და 2019 წლებში, ყოფილი საბჭოთა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებიდან.<sup>6</sup>

მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა საარქივო საქმესთან დაკავშირებული ზოგადი საერთაშორისო სტანდარტები და მიდგომები რომლებსაც არქივების საერთაშორისო საბჭო (ICA) წერგავს.<sup>7</sup>

IDFI-ს მიერ შექმნილი საარქივო ღიაობის სტანდარტი პირველი მსგავსი დოკუმენტი გახდა, რაც პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო - მეთოდოლოგიის და საარქივო ღიაობის სტანდარტის დამკვიდრება მსოფლიოში.

თითოეულ ქვეყანაში შეფასებული ორ-ორი არქივი შეირჩა შემდეგი პრინციპით: ქვეყნის რომელიმე ძირითადი არქივი (მაგ., ეროვნული, ისტორიული ან სხვა არქივი) და ყოფილი

<sup>6</sup> იხილეთ პარტნიორების ჩამონათვალი: [http://open-archives.org/en/pages/about/about\\_platform](http://open-archives.org/en/pages/about/about_platform)

<sup>7</sup> <https://www.ica.org/en/public-resources/standards>



რეპრესიული სახელმწიფო ორგანოების არქივი როგორებიცაა ყოფილი უშიშროების კომიტეტის (КГБ) არქივი (შემდგომში: „სარეჟიმო არქივები“).

კვლევის პროცესში ზემოხსენებული მიდგომა ვერ გატარდა ყველა ქვეყანასთან მიმართებაში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. ჩვენს მკვლევარებს აზერბაიჯანსა და უზბეკეთში უარი ეთქვათ სარეჟიმო არქივებზე წვდომაზე. ამის გამო, აღნიშნულმა არქივებმა საარქივო სერვისების, ვებგვერდისა და სამკითხველო დარბაზების კომპონენტებში 0%-ანი შეფასება მიიღეს.

ასევე, ზოგიერთ ქვეყანაში სარეჟიმო არქივების შეფასება შეუძლებელი იყო, რადგან შესაბამისი სპეციფიკის არქივმა შეწყვიტა არსებობა, სხვადასხვა მიზეზთა გამო. აღნიშნული შეეხო შემდეგ ქვეყნებს:

- ტაჯიკეთი, სადაც შეფასდა ტაჯიკეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი და კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების არქივი. ამის მიზეზი იყო ის, რომ ოფიციალური სამთავრობო ვერსიით, ყოფილი უშიშროების კომიტეტის (КГБ) არქივი 1992 წელს, ტაჯიკეთის სამოქალაქო ომის პირველივე დღეებში განადგურდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჟურნალისტი და სამოქალაქო აქტივისტი ამტკიცებს, რომ მხოლოდ დოკუმენტების ნაწილი განადგურდა და დარჩენილი ნაწილის გასაჯაროებას სახელმწიფო არ უშვებს.<sup>8</sup>
- ლატვიაში სარეჟიმო და ჩვეულებრივი დოკუმენტები გაერთიანებულია ერთ არქივში და იდენტური დაშვების პროცედურები გააჩნიათ. 2010 წლის 3 მარტს, ლატვიის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ახალ საარქივო კანონს, რომლის მიხედვითაც, 2011 წლის 1 იანვრიდან ლატვიის სახელმწიფო საარქივო სისტემა გაერთიანდა ერთ დაწესებულებაში - ლატვიის ეროვნულ არქივში. ლატვიის ეროვნული არქივი არის იქამდე არსებული ინსტიტუციებისა და საარქივო სისტემის სამართალმემკვიდრე. შესაბამისად, ლატვიაში შეფასდა მხოლოდ ეროვნული არქივი და მისი შედეგი ჩაითვალა ქვეყნის ერთიან შედეგად.
- ასევე შესაძლებელია გარკვეულ გამოწვევებს მივიჩნიოთ მოლდოვა, რომლის შეფასებული მეორე არქივი - მოლდოვას რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციების არქივი (AOSPRM) ინახავს საბჭოთა ეპოქის დოკუმენტებს, თუმცა არა ძალიან რეჟიმების, არამედ საბჭოთა კავშირში მოქმედი სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტიულ მასალებს.

კვლევის პროცესში გამოყენებულ წყაროებს და შეფასებებს შეგიძლიათ გაეცნოთ საარქივო პორტალზე - <http://open-archives.org/en/data>. დოკუმენტებში პუნქტებზე პასუხები არის დამოწმებული.

---

<sup>8</sup> The Unpublished Memoirs of General Saidmair Zuhurov, former KGB Chairman, “Противостояние” (Confrontation).

კვლევის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენ პარტნიორ მკვლევარს შესაბამის ქვეყანაში, რომლებმაც შეისწავლეს საარქივო ღიაობა როგორც საკანონმდებლო ისე პრაქტიკული მიმართულებებით.

## ძირითადი მიგნებები

- საარქივო კანონმდებლობის კუთხით პირველი 9 ქვეყნიდან 7 ქვეყნის კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მოლდოვისა და უკრაინის კანონმდებლობების გარდა;
- ღიაობის მაღალი სტანდარტისა და ზოგიერთი ნაკლებად გამჭვირვალე არქივის მიდგომა ყოფილი საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების ხელმისაწვდომობის მიმართ ერთგვაროვანია: ისინი არ ანადგურებენ წარსულში კლასიფიცირებულ ფონდებსა და დოკუმენტებს, რომელთა გასაიდუმლოებაც სახელმწიფომ არსებობის გარკვეულ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩათვალა; ღია არქივებში დაუშვებელია გაგრძელდეს დოკუმენტების გასაიდუმლოების ვადა, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ასეთი დოკუმენტები ავტომატურად ხდება ხელმისაწვდომი; დაუშვებელია ხელახლა გასაიდუმლოვდეს ისეთი დოკუმენტი, რომელსაც აღნიშნული სტატუსი ერთხელ უკვე მოეხსნა;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი არ ვრცელდება რეპრესიების განმახორციელებელი ყოფილი სახელმწიფო ინსტიტუტების არქივებსა და ფონდებზე, ანუ „სარეჟიმო არქივების“ დოკუმენტებზე. აღნიშნული პრინციპი არქივების ღიაობის საუკეთესო მაგალითის მქონე ქვეყნებს, ლატვიას და ლიეტუვას აქვთ დანერგილი. ასევე ამ პრინციპს საკანონმდებლო დონეზე იზიარებს ყაზახეთიც;
- ის არქივები, რომლებიც შედიან ყველაზე ღია ქვეყნების ჩამონათვალში საუკეთესო ონლაინ მომსახურებებს სთავაზობენ მკვლევრებს და პირიქით – ნაკლებად ღია არქივები ამ კუთხით უარეს შედეგებს აჩვენებენ, ზოგიერთ მათგანს კი საერთოდ არ აქვს ონლაინ რესურსები (ვებგვერდი);
- მკვლევრებზე ორიენტირებული არქივები დარბაზში და ონლაინ იძლევიან დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების გამოყენების საშუალებას; ასევე საუკეთესო ღიაობის მქონე 6-დან 5 არქივში – ჩეხეთში, პოლონეთში, ლატვიაში, ლიეტუვასა და უკრაინაში – მკვლევართა დარბაზებში დაშვებულია საკუთარი ფოტოაპარატის გამოყენება.




# შეფასების შედეგების ანალიზი

## ღიაობის რეიტინგი


საბჭოთა რესპუბლიკების და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნების არქივების ღიაობის 2019 წლის შედეგების თანახმად, ლიეტუვას (86.81%) აქვს ყველაზე უფრო ღია და ხელმისაწვდომი არქივები შეფასებულ 18 ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებს შორის. მას მოყვება ლატვია (83.23%), ბულგარეთი (81.25%), უკრაინა (80.80%). აღნიშნული არქივები მოხვდნენ ე.წ. „მწვანე ზონაში“, რომელიც მოიცავს არქივებს 80%+ ღიაობით. „მწვანე ზონასთან“ საკმაოდ ახლოსაა ჩეხეთისა (79.29%) და პოლონეთის (78.43%) შედეგები. უნგრეთმა (74.46%) დაიკავა მეშვიდე ადგილი და საქართველომ (70.99%), რუმინეთმა (70.83%) და მოლდოვამ (69.90%) შესაბამისად დაიკავეს მერვე, მეცხრე და მეთათე ადგილები.

ქვეყნები ყველაზე ნაკლებად ღია არქივებით არიან ბელარუსი (42.17%), ყირგიზეთი (41.21%) და უზბეკეთი (31.87%) (ნახეთ გრაფიკი #1). ყველა ამ ქვეყნის ყოფილი უშიშროების კომიტეტის (КГБ) არქივები სრულად დახურულია.




ცხრილი 1: არქივების ღიაობა - ქვეყნების რეიტინგი

## არქივების საერთო რეიტინგი




ცხრილი 2: არქივების საერთო რეიტინგი

## ძირითადი არქივების რეიტინგი



ცხრილი 3: ძირითადი არქივების რეიტინგი (მაგ., ეროვნული, ისტორიული ან სხვა არქივი)

## „სარეჟიმო არქივების“ რეიტინგი



ცხრილი 4: „სარეჟიმო არქივების“ რეიტინგი

## საარქივო კანონმდებლობა

საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, გამართული საარქივო კანონმდებლობა ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია. თუმცა პროექტის მკვლევრები, მაგალითად რუსეთის ფედერაციაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში აღნიშნავენ, რომ კონკრეტულ შემთხვევებში არსებობს კანონმდებლობის მოთხოვნათა გვერდის ავლის საშუალება, შედეგად კი არ ხდება მათი პრაქტიკაში სრულად იმპლემენტაცია.

შეფასების თანახმად, უნგრეთს (98.61%) გააჩნია საუკეთესო საარქივო კანონმდებლობა, რომელსაც მოსდევს ლატვია (97.22%) და კიდევ 7 ქვეყანა, რომლებიც წარმოადგენენ აღმოსავლეთის ევროპის (ყოფილი აღმოსავლეთის ბლოკი) რეგიონს. ჩამოთვლილ ქვეყნებს ემატება უკრაინა, რომელიც 2018 წელს საარქივო კანონმდებლობის კომპონენტში რეიტინგის ლიდერი იყო.

აღნიშნული შედეგი დიდ წილად განპირობებულია იმ სტანდარტებით, რომელთა დაცვის ვალდებულებაც ქვეყნებს ევროკავშირის რეგულაციებიდან გამომდინარე გააჩნიათ. მოცემული ქვეყნების საკანონმდებლო ჩანაწერები ჰარმონიზებულია ევროკავშირის რეგულაციებთან<sup>9</sup> და მცირედი განსხვავებების გარდა წარმოადგენენ ერთიანი სისტემის ნაწილს.

მეთოდოლოგიის ცალკეული პუნქტების თანახმად, 18-დან 17 ქვეყნის არქივები საკუთარ და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უქმნიან არქივებთან დაშვების თანაბარ პირობებს. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის განსხვავებული პირობები დადგენილია მხოლოდ უზბეკეთის კანონმდებლობით, რომელსაც ჩვენს რეიტინგში ბოლო ადგილი უკავია. 2018 წელს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე,<sup>10</sup> პროექტმა მკვლევარმა დასავლეთ ევროპული ქვეყნიდან, რომელსაც უზბეკეთის არქივში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნდა, განაცხადა, რომ არქივში დაშვება თავდაპირველად რთულ პროცედურებთან იყო დაკავშირებული, თუმცა დაშვების შემდეგ საერთო მიდგომა მისი და უცხოელი მკვლევრების მიმართ მეგობრული და პოზიტიური იყო. არქივის თანამშრომლები კი ყველანაირად ცდილობდნენ მათ ხელშეწყობას. მისი დაკვირვებით, მნიშვნელოვანი იყო ისიც, თუ რომელი ქვეყნიდან იყო ესა თუ ის მკვლევარი.

---

<sup>9</sup> Based on the principles of the “Report on Archives in the enlarged European Union Increased archival cooperation in Europe: action plan Elaborated by the National Experts Group on Archives of the EU-Member States and EU-Institutions and Organs at the request of the Council of the European Union” Doc. Number: COM(2005)52/F1.

<sup>10</sup> მკვლევარმა, რომელმაც შეაფასა უზბეკეთის არქივების ღიაობა 2018 წელს არ ისურვა ვინაობის გამხელა საარქივო ორგანოსთან არქივთან ურთიერთობაში სამომავლო გართულებების თავიდან ასაცილებლად. იგივე ისურვა 2019 წლის ადგილობრივმა, უზბეკმა მკვლევარმა.

მიუხედავად საარქივო კანონმდებლობის სრული გამართულობისა, არქივში მკვლევრის დაშვებისას უნგრეთი ითხოვს კვლევის დეტალურ გეგმას და პუბლიკაციების სიას. ამასთან განცხადებას კვლევის უფლების მოთხოვნის შესახებ თან უნდა ერთოდეს „მხარდამჭერი წერილი“, რომელიც უნდა შეადგინოს ამა თუ იმ დაწესებულებამ (უნივერსიტეტი, კვლევითი ცენტრი და ა.შ.) დეტალურ კვლევით გეგმაზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში კი თუ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მკვლევარს არ მიეცემა არქივში დაშვების უფლება, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოს ეროვნულ არქივშიც, სადაც ბოლო 4 წლის მანძილზე დასაშვებად დეტალური კვლევითი გეგმის წარდგენაა საჭირო. ამავდროულად მკვლევართა დაშვების წესი ან სხვა სახის შიდა რეგულაცია, რომელიც აღწერდა რომლის საფუძველითაც პრაქტიკაში გართულდა საარქივო მასალებზე დაშვება, ეროვნულ არქივს დღეის მდგომარეობით არ გამოუქვეყნებია.<sup>11</sup>

მნიშვნელოვანია საარქივო ფონდებზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილებები არ შეიცავდეს დისკრიმინაციულ ნიშნებს. კერძოდ, დაუშვებელია რაიმე სახის პრიორიტეტის მინიჭება კონკრეტული ორგანიზაციების (მაგალითად უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების) წარმომადგენელი მკვლევრებისათვის. დისკრიმინაციული ნიშნები არსებობს ბელარუსისა და ტაჯიკეთის არქივებში, პოლონეთის მეხსიერების ინსტიტუტის არქივებში, რადგან ეს დაწესებულებები დაშვების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, დამოუკიდებელ მკვლევარებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ უნივერსიტეტის მიერ წარგზავნილ მკვლევარს.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ საარქივო ფონდებზე დაშვების შესახებ განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილება ზღუდავს საარქივო მასალებზე დაშვებას, ის უცილებელია გაიცეს წერილობითი ფორმით. ამასთან მნიშვნელოვანია განმცხადებელს წერილობითი სახით ეცნობოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შესახებ და განემარტოს გასაჩივრების პროცედურები (მოცემული საკითხი განხილულია კვლევის შემდგომ ნაწილებში).

საკანონმდებლო დონეზე არქივის ღიაობის მეორე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს კონკრეტულ საარქივო დოკუმენტებთან დაშვება-არდაშვების საკითხი. აღნიშნული მოიცავს როგორც საარქივო მასალათა კატალოგებსა და აღწერის დოკუმენტებს (Finding Aid), რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, ისე თავად საარქივო დოკუმენტებს. საარქივო მასალებზე წვდომა შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია არქივების მიერ მსგავსი შეზღუდვების თვითნებურად დაწესება, რადგან ის წარმოშობს საარქივო დაწესებულების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საშიშროებას. ამასთან სასურველია

---

<sup>11</sup> მსგავსი ტიპის დოკუმენტი არ იძებნება ეროვნული არქივის იმ სექციაში, სადაც განთავსებულია საკანონმდებლო აქტები: <https://archive.gov.ge/ge/samartlebrivi-aktebi>.

გადაწყვეტილებას საარქივო დოკუმენტებთან დაშვების შესახებ იღებდეს კომისია ან სხვა დამოუკიდებელი ორგანო.

არქივების ღიაობის კუთხით IDFI-ს მეთოდოლოგიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებასა და კანონსაწინააღმდეგო დამუშავებაზე. არსებობს პრინციპი, რომ არქივი საიდუმლოების ან პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებისგან ტავის დაცვის მიზნით, კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე არ გასცემს დოკუმენტებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროება.<sup>12</sup> ამ პრინციპის გათვალისწინებით, არქივს პრაქტიკულად ეძლევა შესაძლებლობა უარი თქვას დოკუმენტების ძალიან ფართო ჩამონათვალის გაცემაზე ვადის გასვლამდე, რადგან დოკუმენტების უმეტესობა, განსაკუთრებით კი რეპრესიული სისტემების შესახებ საარქივო მასალები მოიცავს პერსონალურ მონაცემებს. მათი სტატისტიკურად დამუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის შესწავლისთვის, როდესაც ქვეყანაში არ იყო კონკურენტული არჩევნები, თავისუფალი მედია, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა - წყაროებად შეიძლება ჩაითვალოს რეპრესიული ორგანოების - НКВД-ს, КГБ-ს და სხვა ორგანოების მოხსენებები საზოგადოებაში არსებული განწყობების შესახებ. გარდა ამისა, ხშირად სწორედ კრიტიკულად განწყობილი პირების წინააღმდეგ აღძრული საქმეები ინახავენ განსაკუთრებით საყურადღებო ინფორმაციას.<sup>13</sup>

მაღალრეიტინგული სახელმწიფო არქივების უმეტესობა გასცემს პერსონალური მონაცემების შემცველ დოკუმენტებს კვლევითი მიზნებისთვის, ხოლო პასუხისმგებლობას პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და კანონსაწინააღმდეგო გავრცელებაზე აკისრებს თავად მკვლევარს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც დანერგილია შემდეგ ქვეყნებში: ბულგარეთი, მოლდოვა, ჩეხეთი, ტაჯიკეთი, პოლონეთი, ლატვია, რუმინეთი, ლიტვა, უნგრეთი და უკრაინა.

პერსონალური მონაცემების გავრცელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც მკვლევარს, ისე ინფორმაციის გამცემ ორგანოს (არქივს) შემდეგ ქვეყნებში: ბელარუსი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი. მსგავსი მიდგომა ვერ ჩაითვლება საუკეთესო პრაქტიკად, რადგან დაუშვებელია არქივის თანამშრომელს დაეკისროს პასუხისმგებლობა მესამე პირების მიერ ინფორმაციის გავრცელებაზე. მსგავსი

<sup>12</sup> „პერსონალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით“ - საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ (5669-რს; კონსოლიდირებული ვერსია (01/12/2016 - 22/03/2017)), მუხლი 2.

<sup>13</sup> იხ.: Volodymyr SEMYSTIAHA, « The role and place of secret collaborators in the informational activity of the gpu-nkvd in the 1920s and 1930s », Cahiers du monde russe [En ligne], 42/2-4 | 2001, mis en ligne le 01 janvier 2007, Consulté le 28 mai 2020. URL: <http://journals.openedition.org/monderusse/8451>



რეგულაცია ქმნის მდგომარეობას, როდესაც არქივის თანამშრომლები პასუხიმგებლობის თავიდან აცილების მიზნით უარს ამბობენ დოკუმენტების გაცემაზე.

დაუშვებელია იმ საიდუმლო ფონდებისა და დოკუმენტების კვლავ საიდუმლოდ ცნობა, რომლებსაც კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოეხსნათ გრიფი საიდუმლო. უარყოფითი მაგალითი დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციაში, სადაც გრიფი საიდუმლო მოხსნილ დოკუმენტებს კვლავ მიენიჭათ საიდუმლო სტატუსი 1990-იან წლებში.

მიუხედავად იმისა, რომ განსაიდუმლოებული მასალების საკმაოდ დიდი რაოდენობა გამოქვეყნებული იყო და დღესდღეობით ინტერნეტ სივრცეშიც კი არის ხელმისაწვდომი, რუსეთის ფედერაციის საარქივო დაწესებულებებში მათ კვლავ ადევს გრიფი საიდუმლო, რადგან რუსეთის ფედერალური კანონმდებლობა გამორიცხავს მათ გავრცელებას.<sup>14</sup> კიდევ ერთი მსგავსი მაგალითია ყირგიზეთი.

პრინციპები, რომელთა თანახმადაც (1) განსაიდუმლოებული ფონდებს და დოკუმენტებს, რომლებიც არ გამოქვეყნებულა, დაუშვებელია კვლავ მიენიჭოს გრიფი საიდუმლო და (2) წარსულში საიდუმლოდ ცნობილი ფონდები და დოკუმენტები დაუშვებელია განადგურდეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღიაობის კუთხით. ამ მხრივ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს წარმოადგენენ ქვეყნები, რომლებიც თვლიან, რომ თუ სახელმწიფომ თავისი არსებობის რომელიმე ეტაპზე გადაწყვიტა გარკვეული კატეგორიის დოკუმენტების საიდუმლოდ ცნობა, მომავალში მათი განადგურება დაუშვებელია. არსებობს გამონაკლისი ქვეყნები, რომლებიც არ იცავენ ამ პრინციპს და მათთან აღნიშნული ამკრძალავი კანონის ნორმები არ არის შემუშავებული. ეს ქვეყნებია: ბელარუსი, ყირგიზეთი, საქართველო და სომხეთი.

მეთოდოლოგიის შეკითხვაზე - დაშვებული უნდა იყოს თუ არა მასალის საიდუმლოების ვადის გაგრძელება? ჩვენი მეთოდოლოგია ითვალისწინებს პასუხის შემდეგ ვარიანტებს: ა) არ უნდა იყოს დაშვებული; ბ) დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ კანონის საფუძველზე; გ) დაშვებული უნდა იყოს კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე (არქივის დირექტორის ბრძანება). რა თქმა უნდა, მასალის საიდუმლოების ვადის გაგრძელების დაშვების შემთხვევაში, უმჯობესია, როდესაც აღნიშნული გათვალისწინებულია კანონით და არა კანონქვემდებარე აქტით ე.ი. როდესაც ვადის გაგრძელება წარმოადგენს არქივის ხელმძღვანელი პირის ან სხვა გადაწყვეტილების მიმღები პირის უფლებამოსილებას. თუმცა ორივე მოცემული შემთხვევა უნდა ჩაითვალოს ცუდ პრაქტიკად. ასეთი პრაქტიკა დამკვიდრებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთის ფედერაციაში, ბელარუსში, ყაზახეთში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში, უკრაინაში, საქართველოში და პოლონეთში.

<sup>14</sup> ჩვენ მიერ ნახსენები პრობლემების შესახებ იწერება მრავალ ავტორიტეტულ უცხოურ და რუსულ ინტერნეტ გამოცემებში. იხილეთ რამდენიმე მაგალითი:

[https://www.bbc.com/russian/russia/2016/05/160527\\_mironenko\\_interview\\_russia\\_archives](https://www.bbc.com/russian/russia/2016/05/160527_mironenko_interview_russia_archives)

<https://novayagazeta.ru/articles/2008/04/18/38381-nikogda-vy-nichego-ne-uznaete>

<https://meduza.io/feature/2015/07/14/metody-raboty-ne-podlezhat-raskrytiyu>

პოლონეთში უკანასკნელში მსგავსი უფლება მინიჭებული აქვს ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტს, რომლის საქმიანობაც რეგულირდება ცალკე კანონით.<sup>15</sup>

კიდევ ერთი ბარიერს ღიაობის კუთხით წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო არ ასაჯაროებს და არქივში მისულ მკვლევრებს არ აძლევს იმ მასალათა გამოყენების უფლებას, რომელთა საიდუმლოების ვადა უკვე გასულია.<sup>16</sup>

სახელმწიფოებს საარქივო ფონდების უვადოდ დახურვის უფლება გააჩნიათ ბელარუსში, სომხეთში, ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, რუსეთში, სომხეთში და საქართველოში, სადაც კანონმდებლობა არ კრძალავს დოკუმენტთა საიდუმლოების ვადის გაგრძელებას. ზოგიერთი ფონდის საიდუმლოდ დატოვება შესაძლებელია ასევე პოლონეთის ეროვნული მეხსიერებისა (ამას არეგულირებს სპეციალური კანონი ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტზე) და ლიტვის ძალოვან არქივებში, სადაც აღნიშნულის ამკრძალავი საკანონმდებლო ჩანაწერი არ მოიძებნა.

საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება მივიჩნიოთ ბულგარეთის საარქივო კანონმდებლობის ჩანაწერი, რომელიც მოიცავს იმ მასალების ჩამონათვალს რომელთა კლასიფიცირებაც დაუშვებელია. კერძოდ კლასიფიცირებული ინფორმაციის დაცვის შესახებ აქტის თანახმად დაუშვებელია 1944 წლის 9 სექტემბრიდან 1991 წლის 16 ივლისამდე პერიოდში ჩამოთვლილ დაწესებულებათა მიერ შექმნილი დოკუმენტების გასაიდუმლოება და საიდუმლო ვადის გაგრძელება: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სადაზვერვო სამსახური, ბულგარეთის ეროვნული არმია მათ შორის მათი წინამორბედი და სამართალმემკვიდრე ინსტიტუტები, ის დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებდნენ ადამიანის თავისუფლებათა უკანონოდ შეზღუდვას, სასამართლოები, საგამომიებო ორგანოები, პროკურატურა, შრომით-საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები).<sup>17</sup>

**ჩეხეთს, უკრაინას, პოლონეთს აქვთ მსგავსი პრაქტიკა დამკვიდრებული და ისინი საბჭოთა/ტოტალიტარული ქვეყნების პერიოდში შექმნილ ყველა დოკუმენტს ხდიან საჯაროს.**

---

<sup>15</sup> იხ.: Act on the Institute of National Remembrance – Commission for the Prosecution of Crimes against the Polish Nation.

<sup>16</sup> მაგალითად, რუსეთის ისტორიულ არქივში, 1999 წელის საიდუმლოდ შენახვის ვადა 25 წლით გაუგრძელდა ლენინის პირადი ექიმის 1924 წელს შესრულებულ დღიურებს. შემდგომში, ერთ-ერთი უფლებადამცველი ორგანიზაციის მუშაობის შედეგად აღნიშნული დოკუმენტებს მოეხსნათ საიდუმლო გრიფი: <https://team29.org/story/leninisdead/> .

<sup>17</sup> Act on Access to and Disclosure of the Documents and Announcing Affiliation of Bulgarian Citizens with the State Security and the Intelligence Services of the Bulgarian National Army. Concluding provisions, § 17.

## არქივებთან დაკავშირებული სხვა კანონმდებლობა

აღნიშნული ნაწილის მეთოდოლოგიით გათვალისწინების საჭიროება განაპირობა იმან, რომ შეუძლებელია საარქივო კანონმდებლობამ სრულად მოიცვას ყველა ის ასპექტი, რომელიც არეგულირებს არქივისა და მკვლევარს შორის ურთიერთობას. სხვა კანონმდებლობაში ძირითადად იგულისხმება კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საარქივო ღიაობის კუთხით.

ჩვენი რეიტინგის თანახმად, მსგავსი სახის კანონმდებლობა არქივების ნაწილში სრულად აკმაყოფილებს ღიაობის სტანდარტებს ლატვიაში (93.75%), პოლონეთში (93.75%), უკრაინაში (90.625%), ლიეტუვაში (87.5%), მოლდოვაში (82.22%), საქართველოში (81.25%) და ბულგარეთში (78.645%). 2018 წლიდან დღემდე, ამ მიმართულებით ყველა დაბალ შეფასებას იღებს ბელარუსში (8.33%). 2018 წელთან შედარებით, მოცემულ კომპონენტში შეფასება გაუმჯობესდა მოლდოვასა და უკრაინაში.

ქვეყნების უმრავლესობაში მოქმედებს დათქმა, რომლის თანახმადაც პერსონალურ მონაცემთა შემცველი ისტორიული დოკუმენტები შესაძლებელია გასაჯაროვდეს კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ. პოსტსაბჭოთა სივრცეში დამკვიდრებულია 75 წლიანი ვადა. აღნიშნული ვადა გათვალისწინებულია აზერბაიჯანის, ბელარუსის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, ლატვიის, რუმინეთის, რუსეთის და საქართველოს კანონმდებლობებში. თუმცა არის დაწესებული განსხვავებული ვადებიც:

- ლიტვა - 50 წელი;
- უნგრეთი - 60 წელი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაა ცნობილი დოკუმენტში მოხსენიებული პირის დაბადების ან გარდაცვალების თარიღები);
- ყაზახეთი - 70 წელი;
- სომხეთი და მოლდოვა - 100 წელი (თუმცა მოლდოვაში აღნიშნული ჩანაწერი არ ვრცელდება კომუნისტური რეჟიმისა და ჰოლოკოსტის მსხვერპლებისა და მსჯავრდებულების პერსონალურ მონაცემებზე).

ბულგარეთს, ჩეხეთს, პოლონეთსა და ტაჯიკეთს კი საერთოდ არ აქვს დადგენილი მსგავსი ვადა.

საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს უკრაინა, სადაც ძირითადი საარქივო კანონი ითვალისწინებს 75 წლიან პერიოდს, რომლის გასვლის შემდეგაც დასაშვებია პერსონალურ მონაცემთა შემცველი ისტორიული დოკუმენტების გასაჯაროება. თუმცა კანონი, რომელიც არეგულირებს კომუნისტურ-ტოტალიტარული რეჟიმის არქივებთან დაკავშირებულ

საკითხებს მიუთითებს, რომ ნებისმიერმა პირმა შესაძლებელია 25 წლის ვადით შეზღუდოს წვდომა ისეთ დოკუმენტებზე, რომელიც პირადად მას ეხება. ამასთან, საარქივო საქმიანობაზე არ ვრცელდება უკრაინის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ. საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის საკითხები დარეგულირებულია კანონით „КГБ-ის არქივებზე წვდომის შესახებ“, რომელიც არ ზღუდავს ამგვარი ტიპის დოკუმენტებზე წვდომას, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც რეპრესიის მსხვერპლს შეუძლია გამოიყენოს ზემოხსენებული შეზღუდვის უფლება 25 წლის ვადით.<sup>18</sup>

დოკუმენტის შექმნიდან დადგენილი ვადის გასვლის გარდა, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს ასევე ჩანაწერს, რომლის თანახმადაც კონკრეტული პირის შესახებ საარქივო მასალები შესაძლებელია გასაჯაროვდეს მისი გარდაცვალებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ასეთ შემთხვევებში ქვეყნების უმეტესობას დადგენილი აქვთ 30 წლიანი ან ნაკლები ვადა. ხშირად, აღნიშნული ვადის გასვლის შემთხვევაშიც კი მკვლევარებს კვლავაც ეზღუდებათ საქმეებთან და დოკუმენტებთან წვდომა, რადგან ისინი ვალდებული არიან არქივში წარადგინონ შესაბამის პირთა გარდაცვალების მოწმობები, მაშინაც კი თუ მათთვის საინტერესო საარქივო საქმე ან დოკუმენტი შეიცავს ათეულობით თუ ასეულობით პირთა პერსონალურ მონაცემებს. მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა საქართველოს ეროვნულ არქივში, როდესაც მკვლევარს უარი ეთქვა საარქივო მასალებზე დაშვებაზე, როდესაც მან ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა არქივის მოთხოვნა ასობით პირის გარდაცვალების მოწმობების წარდგენის შესახებ.<sup>19</sup>

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, დოკუმენტთა გასაჯაროებისთვის აუცილებელია მათი შექმნიდან კონკრეტული ვადის გასვლა და არ არის დადგენილი ვადა, რომელიც პირის გარდაცვალების შემდეგ აითვლება. ე.ი. დოკუმენტი საჯარო ხდება მხოლოდ მისი შექმნიდან დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ, ხოლო პირის გარდაცვალების შემთხვევაში აუცილებელია მისი კანონიერი მემკვიდრის თანხმობა. სხვა ქვეყნების შემთხვევაში კი კანონიერი მემკვიდრის თანხმობასთან ერთად აუცილებელია კანონით დადგენილი სპეციალური ვადის გასვლაც.

განსხვავებული მიდგომაა რუმინეთის არქივში, სადაც ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: “რუმინეთის კომუნისტური პარტიის მაღალი თანამდებობის პირების პირადი საქმეები არ ითვლება პირად მონაცემად და მათზე შეუზღუდავი წვდომა გარანტირებულია

---

<sup>18</sup> Art. 9, p.4 of the Law of Ukraine “On access to Archives of Repressive Agencies of Totalitarian Communist Regime of 1917-1991”.

<sup>19</sup> საქართველოში ერთ-ერთმა კვლევითმა ორგანიზაციამ - „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ“ (SOVLAB), საქართველოს ეროვნულ არქივს უჩივლა მას შემდეგ, რაც მათ მოითხოვეს რამდენიმე ათასი პიროვნების გარდაცვალების მოწმობის წარდგენა იმისათვის, რათა ორგანიზაციის მკვლევარს ენახა აღწერის წიგნი. თუმცა, SOVLAB-მა ვერ მოიგო აღნიშნული საქმე. იხილეთ ნიუსი ამის თაობაზე: <http://archive.ge/ka/blog/70>.

დამოუკიდებლად იმისა გარდაცვლილია თუ არა მონაცემთა სუბიექტი“.<sup>20</sup> ასევე, ბულგარეთის არქივში კანონი განასხვავებს კონკრეტულ პიროვნებებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან კავშირის ფორმის მიხედვით: ოფიცრებისა და აგენტების შესახებ ინფორმაცია პირად მონაცემებად არ ითვლება და საჯაროა (როცა ოფიცრის ან აგენტის სახელი კომიტეტის მიერ ოფიციალურადაა გაცხადებული) მაშინ, როცა მსხვერპლთა შესახებ ინფორმაცია ითვლება პერსონალურ მონაცემად და მასზე წვდომა აქვთ მხოლოდ თავად პერსონალურ მონაცემთა სუბიექტებს და მათ ნათესავებს.<sup>21</sup>

სამეცნიერო კვლევის მიზნებისთვის, ზოგიერთი საარქივო ფონდზე თუ დოკუმენტზე აუცილებელია მოხდეს მკვლევართა დაშვება ზემოხსენებული ვადების გასვლამდეც, მიუხედავად იმისა შეიცავს ის თუ არა ის პერსონალურ მონაცემებს. ამ შემთხვევაში საუკეთესო პრაქტიკა დანერგულია 4 ქვეყანაში, რომლებიც შედიან ყველაზე ღია ქვეყნების რეიტინგში: ბულგარეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ლატვია. ამ ქვეყნებში, სათანადო დასაბუთების შემდეგ ხდება დოკუმენტებთან დაშვება, თუმცა პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება მკვლევარს და არა არქივს.

აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ლიტვაში, რუსეთში, უკრაინასა და სომხეთში მსგავსი დოკუმენტები შეიძლება გასაჯაროვდეს მემკვიდრის თანხმობის შემთხვევაში, ხოლო საქართველოში - მხოლოდ გარდაცვალების მოწმობის წარდგენის შემთხვევაში, რაც წარმოშობს ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ პრობლემებს.

ზოგიერთი ქვეყანა დოკუმენტის შექმნიდან დადგენილი ვადის გასვლამდე არ ასაჯაროვებს პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას ან არ აქვს კანონის ან კანონქვემდებარე აქტის პრინციპების დონეზე გაწერილი პროცედურა. ასეთი ქვეყნებია: ბელარუსი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უნგრეთი.

არქივების ღიაობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირთა და მათი წინაპრების შესახებ საარქივო დოკუმენტები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ამ მიდგომის დანერგვა ერთ-ერთმა პირველმა პოლონეთის მეხსიერების ინსტიტუტმა დაიწყო, რომლის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზანიც გახლდათ ლუსტრაცია, პოლონელი ერის წინააღდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოაშკარავება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1917-1990 წლებში ნაცისტური და კომუნისტური რეჟიმების მიერ.<sup>22</sup> მსგავსი პრინციპი კანონმდებლობის დონეზე დაფიქსირებული აქვთ სხვა ქვეყნებსაც: მაგალითად რუმინეთში პრინციპს მხოლოდ საზოგადოებრივი შეთანხმების სახე გააჩნია, რადგან ის არ არის გაწერილი კანონმდებლობის დონეზე. მიუხედავად ამისა ეროვნული

<sup>20</sup> Annex No. 5 from the Law on the National Archives no. 16/1996 (republished in 2014).

<sup>21</sup> Act on Access to and Disclosure of the Documents and Announcing Affiliation of Bulgarian Citizens with the State Security and the Intelligence Services of the Bulgarian National Army , Prom. SG. 102/19 Dec 2006, art.31.

<sup>22</sup> <https://ipn.gov.pl/en/about-the-ipn/2.dok.html>



არქივი სრულ წვდომას სთავაზობს მკვლევრებს „ნომენკლატურის“ წევრების პირად საქმეებზე.

საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობის ხარისხი ხშირ შემთხვევაში შეიძლება უკავშირდებოდეს ქვეყნების ზოგადი დემოკრატიის დონეს, ისევე როგორც ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედ სოციალურ სისტემას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ხელისუფლების სათავეებში რჩებოდნენ ყოფილი საბჭოთა მაღალჩინოსნები თუ მათი შთამომავლები რის გამოც ქვეყანაში არ ხდება თანამდებობის პირთა შესახებ საარქივო დოკუმენტების გასაჯაროება და აღნიშნული პრინციპების კანონის დონეზე დამკვიდრება. ამის მიზანს წარმოადგენს საკუთარი ან მშობლის/ წინაპრის დანაშაულის და საქმიანობის გამჟღავნების თავიდან აცილება. თანამდებობის პირთა და მათი შთამომავლების შესახებ საარქივო დოკუმენტები არ არის საჯარო ბელარუსში, აზერბაიჯანში, მოლდოვაში, უზბეკეთში, ყირგიზეთსა და სომხეთში.

საუკეთესო ღიაობის მქონე ქვეყნებში, კანონი პერსონალური მონაცემების შესახებ არ ეხება რეპრესიული სახელმწიფო ინსტიტუტების „სარეჟიმო არქივებს“. ეს კიდევ ერთი მაგალითია სხვადასხვა ღიაობის დონის ქვეყნებში არსებული განსხვავებული პრაქტიკისა: ერთგან მსგავსი ტიპის დოკუმენტებში ღიაა ყველა მონაცემი, მათ შორის სახელები, გვარები, მეორე შემთხვევაში კი დახურულია საგამოძიებო საქმის თვითმხილველების და გამომძიებლების სახელებიც კი. ამ მხრივ საუკეთესო პრაქტიკა დანერგილია ლატვიაში, უკრაინაში და ყაზახეთში.

განსხვავებულია პრაქტიკა ბელარუსში, ჩეხეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, უნგრეთში, პოლონეთში (კანონი IPN-ზე), საქართველოში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, სომხეთსა და ბულგარეთში.<sup>23</sup> მოცემულ ქვეყნებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოქმედება ვრცელდება საარქივო დოკუმენტებზეც და კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სახის გამონაკლისს.

ზემოხსენებული სამი ქვეყნიდან, რომლებიც არ იზიარებენ ამ პრაქტიკას და უზრუნველყოფენ საარქივო დოკუმენტთა სრული სპექტრის ხელმისაწვდომობას და მათზე არ ვრცელდება კანონი პერსონალური მონაცემების შესახებ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ლატვიის 2018 წლის დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილება - ყოფილი უშიშროების კომიტეტის (KGB) არქივების გახსნის თაობაზე<sup>24</sup>, რაც საუკეთესო მაგალითი უნდა გამხდარიყო სხვა ქვეყნებისთვისაც. წელიწადნახევრის გასვლის მიუხედავად, მსგავსი პრაქტიკა ჯერჯერობით სხვა, შედარებით დახურულ ქვეყნებს არ გაუზიარებიათ. ლატვიაში

<sup>23</sup> In Bulgaria “the limitations on access depends not on the organization but on documents collected, namely, whether they contain personal information, which is accessible only to the people concerned and their relatives (in the case of the victims of the repressive political police)”.

<sup>24</sup> [https://idfi.ge/en/opening\\_kgb\\_archive\\_in\\_latvia\\_an\\_useful\\_example\\_for\\_georgia](https://idfi.ge/en/opening_kgb_archive_in_latvia_an_useful_example_for_georgia)



სრული ღიაობის მიღწევას წინ უძღვოდა ფართო დისკუსია,<sup>25</sup> რის შემდეგაც ქვეყანა მივიდა სრული ღიაობის გადაწყვეტილებამდე.

## საარქივო სერვისები

საარქივო სერვისები მეტ-ნაკლებად განვითარებულია ყველა ქვეყანაში გარდა უზბეკეთისა და ტაჯიკეთისა. კიდევ ერთი გამოვლენილი ტენდენცია იმაში მდგომარეობს, რომ ღია ქვეყნებში სარეჟიმო და სხვა არქივები არ განსხვავდებიან სერვისების მიწოდების კუთხით, რასაც ვერ ვიტყვით მაგალითად აზერბაიჯანზე. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოლიტიკური დოკუმენტების არქივის ღიაობა საარქივო სერვისების კომპონენტში 86.84%-ით არის შეფასებული, მაშინ როდესაც აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ღიაობის დონე 36.84%-ს წარმოადგენს. იგივე შეიძლება ითქვას ბელარუსზე, რომლის ეროვნულმა არქივმა მოცემულ კრიტერიუმში 72.37% მიიღო, ხოლო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივმა კი – 40.79%.

სხვადასხვა ქვეყნებში დაწესებულია განსხვავებული მომსახურების ვადები, თუმცა ქვეყნები ძირითადად თავს იზღვევენ რამდენიმედღიანი ვადის დადგენით, რადგან საარქივო დოკუმენტებში ამა თუ იმ ცნობის მოძიება და გაცემა წარმოადგენს სკურპულოზურ პროცესს, რომლის დროსაც მაღალია შეცდომის დაშვების ალბათობა. მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენმა რამდენიმე მკვლევარმა აღნიშნა, რომ პრაქტიკაში არქივები ხშირად დადგენილ ვადაზე ადრე გასცემენ დოკუმენტებს.

გაწერილი და დეტალური პროცესი, ასევე ვადების დაცვა პრაქტიკაში გააჩნია საქართველოს ეროვნულ არქივს, სადაც ეს პროცესი ხორციელდება ქვეყანაში მოქმედი იუსტიციის სახლების მეშვეობით და ზუსტად არის დადგენილი დოკუმენტთა გაცემის ვადები მათი კატეგორიების მიხედვით, საფასურის განაკვეთები და სხვა პირობები.<sup>26</sup>

---

<sup>25</sup> <https://eng.lsm.lv/article/culture/history/a-couple-of-problems-with-the-kgb-files.a302043/>

<sup>26</sup> On the Approval of the Amount of Fees, Procedures for Payment of Fees and Time Frames for Services Rendered by the Legal Entity under Public Law the National Archives of Georgia Operating under the Governance of the Ministry of Justice of Georgia. Ordinance No 506 of the Government of Georgia, 29 December, 2011.

საარქივო სერვისების მიღების განსაზღვრული დრო				
3-5 დღე	6-9 დღე	10-12 დღე	30 დღემდე	არა არის განსაზღვრული
ეროვნული არქივი / ჩეხეთი	ლიეტუვა	უსაფრთხოების სამსახურის არქივი / რუმინეთი	ლატვია	ბულგარეთი
უკრაინა	ეროვნული არქივი / რუმინეთი	უსაფრთხოების სამსახურის არქივი / ჩეხეთი		
უზბეკეთი	საქართველო	აზერბაიჯანი		
	ეროვნული უსაფრთხოების არქივი / სომხეთი	ბელარუსი		
		ყაზახეთი		
		მოლდოვა		
		ყირგიზეთი		
		ტაჯიკეთი		
		უნგრეთი		
		რუსეთი		

ცხრილი 5: საარქივო სერვისების მიღების განსაზღვრული დრო

არქივის მომსახურება უფასოა ან მინიმალური საფასურია დაწესებული ბულგარეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ბელარუსში, მოლდოვაში, უნგრეთში (უნგრეთში უსაფრთხოების სამსახურის არქივების მომსახურება უფასოა, ხოლო ეროვნული არქივის - ფასიანი), პოლონეთში, უკრაინასა და სომხეთში.

არქივის მომსახურებისთვის მინიმალურზე მაღალი საფასურია დაწესებული შემდეგ ქვეყნებში: უზბეკეთი, ლატვია, ლიტვა, საქართველო, ყირგიზეთი და რუმინეთი (პროცენტულად საკმაოდ მაღალი).

ტაჯიკეთში კანონმდებლობით არ არის გაწერილი მომსახურების ზუსტი ღირებულება და არქივი თავად ადგენს საფასურს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ცუდი პრაქტიკის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენი მკვლევრის განცხადებით არქივი არ გასცემს სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობებს ჩეხეთში.

რუსეთის ფედერაციაში ზოგიერთი ცნობა (მაგალითად, ხელფასის ან ნასამართლეობის შესახებ) შეიძლება გაიცეს უფასოდ, სხვა ცნობების გაცემა კი ფასიანია.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანას გააჩნია მომსახურების საფასურის გამოთვლის მოქნილი სისტემა. კერძოდ დადგენილია სოციალური შეღავათები საფასურებზე და ცნობებზე შემდეგი ჯგუფებისთვის: შშმ პირები, ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული სტატუს მქონე პირები, დევნილები და ლტოლვილები, სტუდენტები და პენსიონერები. ზოგიერთი არქივში მოქმედებს სრული და სხვაგან კი მხოლოდ ნაწილობრივი შეღავათები.

## არქივის ვებგვერდი

ვებგვერდთა გამართულ ფუნქციონირებასა და მომხმარებლებთან ონლაინ კომუნიკაციას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია თანამედროვე სამყაროში. აღნიშნულის საჭიროება განსაკუთრებით თვალსაჩინოდ წარმოაჩინა Covid-19-ით გამოწვეულმა რეალობამ, როდესაც ადამიანებს მთელი მსოფლიო მასშტაბით მოუწიათ სახლში ყოფნა და დისტანციურად მუშაობა. აღნიშნულ პერიოდში ისტორიკოსებისთვის და მკვლევრებისთვის ერთადერთი საშუალება გამოეყენებინათ საარქივო დოკუმენტები გახდა ინტერნეტი, ვებგვერდი და მასზე განთავსებული ფონდები და ელექტრონული მონაცემთა ბაზები.

შეფასებული არქივებიდან, რეიტინგის მიხედვით პირველი ორი არქივი აღნიშნულ კომპონენტში ლიეტუვადანაა: ლიეტუვის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (97.86%) და ლიეტუვის სპეციალური არქივი (93.57%). ასევე მაღალი შეფასება მიიღო რუმინეთის ეროვნული არქივის ვებგვერდმა და ონლაინ მომსახურებამ (91.43%), ჩეხეთის ორივე არქივმა - ჩეხეთის ეროვნული არქივი (89.29%) და ჩეხეთის მთავრობის უსაფრთხოების სამსახურის არქივი (87.14%), ისევე როგორც ბულგარეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის არქივმა (87.86%) და ბულგარეთის ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა (83.57%).

აღსანიშნავია ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული არქივის პროგრესი 2018 წელთან შედარებით, რომელიც გამოიხატა 21%-იან ზრდაში (60.71% - 82.14%). საქართველოს ეროვნულმა არქივმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები რათა გაზრდილიყო ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტთა აღწერების, დასკანერებული მასალებისა და სხვა მონაცემების

რაოდენობა. ასევე დაინერგა ვებგვერდის ადაპტირებული ვერსია უსინათლო და მხედველობა შეზღუდული პირებისთვის.<sup>27</sup> საქართველოს მეორე, შსს არქივში 2018 წელთან შედარებით ვითარება არ შეცვლილა.

ყველაზე ცუდ პრაქტიკად შეგვიძლია განვიხილოთ დაწესებულებები, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ ვებგვერდი:

- ბელარუსის უშიშროების (КГБ) არქივი;
- აზერბაიჯანის შსს არქივი;
- უზბეკეთის უშიშროების (КГБ) არქივი;
- ყირგიზეთის შსს არქივი;
- ტაჯიკეთის არქივები;
- სომხეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივი;
- პრაქტიკულად არ აქვს რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის (ФСБ) არქივს.

ვებგვერდის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება არის საარქივო დოკუმენტების და აღწერილობების (finding aid) მიწოდება მკვლევებისთვის დისტანციურ რეჟიმში.

76-100%-მდე ფონდების აღწერები განთავსებულია შემდეგ არქივებში:

- უნგრეთის ეროვნული არქივი;
- ლიტვის არქივები;
- რუმინეთის არქივებში.

50-75%:

- ბულგარეთის არქივი (COMDOS);
- საქართველოს ეროვნული არქივი.

25-50%

- ჩეხეთის ეროვნული არქივი.

25%-ს ან ნაკლებს შეადგენს შემდგომ ქვეყნების არქივებში აღწერილობები, რომლებიც განთავსებულია ელექტრონულად ვებგვერდზე:

- ბელარუსის ეროვნული არქივი;
- ბულგარეთის ცენტრალური არქივი;
- ჩეხეთის კგბ არქივი;
- ლატვიის ეროვნული არქივი;
- უკრაინის მთავრობის ცენტრალური სახელმწიფო (CDAVO) არქივი.

---

<sup>27</sup> <https://archive.gov.ge/ge/adaptirebuli-gverdi-1>

ვებგვერდებზე აღწერები საერთოდ არა არის ხელმისაწვდომი აზერბაიჯანის, ყაზახეთის, უზბეკეთის, მოლდოვას, ყირგიზეთის, პოლონეთისა და რუსეთის არქივებში, ისევე როგორც უნგრეთის უსაფრთხოების არქივში, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის არქივში, საქართველოს შსს არქივში და იმ არქივებში, რომლებსაც ვებგვერდი არ გააჩნიათ.

ონლაინ მომსახურების მიღება და ცნობების აღება დისტანციურად შესაძლებელია ბულგარეთში, ლატვიის არქივებში, ბელარუსის ეროვნულ არქივში, ყაზახეთში, ჩეხეთში, ყირგიზეთის ეროვნული არქივში, პოლონეთის ეროვნული არქივში, ლიტვის არქივებში, რუმინეთის ეროვნულ არქივში, უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და მთავრობის ცენტრალურ სახელმწიფო (CDAVO) არქივში, საქართველოს არქივებში<sup>28</sup> და რუსეთის ეროვნულ არქივში<sup>29</sup>. ონლაინ სერვისები არ არის ხელმისაწვდომი აზერბაიჯანში, მოლდოვაში, რუმინეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივში, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის არქივში, უნგრეთსა და უზბეკეთში.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს წარმოადგენენ ის ქვეყნები და ცალკეული არქივები, სადაც შესაძლებელია დასკანერებული დოკუმენტების დისტანციურად მიღება, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა მას შემდეგ, რაც აუცილებელი გახდა მილიონობით ადამიანის სახლიდან მუშაობა. ასეთი დაწესებულებებია:

- ბულგარეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი;
- ლატვიის ეროვნული არქივი;
- ლიეტუვის ორივე არქივი;
- რუმინეთის ეროვნული არქივი;
- რუსეთის საისტორიო არქივი;
- უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის (SBU) არქივი.

ასევე ვებგვერდი განკუთვნილი უნდა იყოს იმისთვის, რომ მოქალაქეთა წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ქვეყნებმა და ცალკეულმა არქივებმა ელექტრონულად გამოაქვეყნონ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, კერძოდ:

1. ადმინისტრაციული საჩივრების ფორმები და ნიმუშები;
2. ინფორმაცია გასაჩივრების წესების შესახებ;
3. არქივის წლიური ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია;
4. ინფორმაცია არქივის მიერ საარქივო სერვისებიდან მიღებულ შემოსავალზე;
5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია;
6. არქივის ქონების შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნულ ინფორმაციას სრულად აქვეყნებენ:

- ლიეტუვას ორივე არქივი;

<sup>28</sup> The National Archive of Georgia made this availability during the Coronavirus outbreak. Source: <https://archive.gov.ge/ge/distantsiuri-momsakhureba-1>

<sup>29</sup> რუსეთის არქივში ყველა სახის ცნობის გაცემა ელექტრონული ფორმით არ ხდება.

- ბულგარეთის არქივი (COMDOS);
- საქართველოს ეროვნული არქივი.

არქივების ნაწილი ინფორმაციას ნაწილობრივ აქვეყნებს, ხოლო ნაწილი საერთოდ არ თვლის საჭიროდ აღრიცხვიანობის აუცილებლობას. რა თქმა უნდა, აღნიშნული არ ეხება იმ არქივებს, რომლებსაც ვებგვერდი საერთოდ არ აქვთ - ბუნებრივია ისინი ამ ინფორმაციას არ აქვეყნებენ.

დასავლური, მაღალი სტანდარტებით ნელ-ნელა ინერგება თავად საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობა ვებგვერდის მეშვეობით. სულ უფრო და უფრო მეტი საარქივო დოკუმენტი სკანერდება და ქვეყნდება ონლაინ. ამ მხრივ 2018-2019 წლებს შორის შესამჩნევი იყო საქართველოს ეროვნული არქივის ვებგვერდის ტექნიკური გამართვა და დოკუმენტების, ფონდების და ცალკეული კოლექციების პროაქტიულად ატვირთვა. ჯერჯერობით ატვირთულია დოკუმენტების მხოლოდ მცირე რაოდენობა, თუმცა ეს მაინც წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.<sup>30</sup> შეფასებულ არქივებში უკვე დასკანერებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია როგორც ავტონომიურად, ისე სხვადასხვა ევროპული ინიციატივების ფარგლებშიც<sup>31</sup>, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოს და სერვისების უნიფიცირების მნიშვნელობაზე.

## მკვლევართა დარბაზი

არქივის მკვლევართა დარბაზში მომსახურება არქივის და მკვლევრის ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი პრაქტიკული ასპექტია. მკვლევართა დარბაზი არის ის სივრცე, სადაც მიმდინარეობს დოკუმენტის მიღება-დამუშავება და პირველად წყაროებზე მუშაობა. სწორედ ამის შედეგად იქმნება ძირითადი საარქივო-სამეცნიერო კვლევები, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, მრავალი მკვლევარი აქცენტს აკეთებს მკვლევართა დარბაზების ონლაინ გადასვლის აუცილებლობაზე, ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დარბაზებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ.<sup>32</sup>

მკვლევართა დარბაზის კომფორტისა და ხელმისაწვდომობის კუთხით, მაღალრეიტინგულია აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნები. მკვლევართა დარბაზების პირველ ათეულში, 8 ეროვნული და 2 სარეჟიმო არქივია შესული: 1-2 ადგილებზე მყოფი უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის არქივი (90.25%) და მე-4 ადგილზე გასული ლიეტუვას სპეციალური არქივი (82.5%).

<sup>30</sup> <https://archive.gov.ge/ge/saarkivo-fondebi>

<sup>31</sup> <https://www.archivesportaleurope.net/home>

<sup>32</sup> Sigrid McCausland, The archives reading room: past, present and future, Paper presented at the fifth International Conference on History of Records, and Archives (I-CHORA). London, 1 July, 2010.



ზოგიერთ საარქივო დაწესებულებას საერთოდ არ აქვს მკვლევართა დარბაზი, ან მათი საქმიანობა დაკავშირებულია მნიშვნელოვან შეზღუდვებთან. ასეთი საარქივო დაწესებულებებია.

- უზბეკეთის უშიშროების სამსახურის არქივი;
- ყირგიზეთის შსს არქივი;
- სომხეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივი;
- ბელარუსის კგბ არქივი პრაქტიკულად არ ახორციელებს მოქალაქეთა მიღებას, შესაბამისად დანერგილია მანკიერი პრაქტიკა: მკვლევარებს შეუძლიათ გაეცნონ დოკუმენტებს არქივის დირექტორის კაბინეტში;
- აზერბაიჯანის შსს არქივს არ გააჩნია საკმარისი სივრცე, შესაბამისად სამუშაო სივრცით ერთდროულად შესაძლებელია სარგებლობდეს არაუმეტეს 2 პირისა და აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ არქივის ხელმძღვანელის კაბინეტში.

დარბაზში დაშვების ონლაინ მიმართვის ფორმა და პრაქტიკა არ არის დანერგილი ბელარუსში, ყირგიზეთსა და ღიაობით შედარებით გამორჩეულ ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა: ყაზახეთი, რუსეთი, უნგრეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივი (რომელიც გარდა ამისა ითხოვს ვრცელ განმარტებას და წარსადგენი დოკუმენტების/ცნობების ნაირსახეობას არქივის დარბაზში დაშვებამდე), პოლონეთის ეროვნული მეხსიერების არქივი, რუმინეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივი, უკრაინის უმაღლესი ხელისუფლებისა და მთავრობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (CDAVO).

საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც დარბაზში დაშვება ხდება განცხადების მიღებიდან იმავე დღეს. მსგავსი პრაქტიკა დანერგილია მრავალ არქივში.

ცუდი პრაქტიკა აქვთ არქივებს, სადაც დარბაზში დაშვებამდე მკვლევარებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უწევთ ლოდინი:

- საქართველოს ეროვნული არქივი - ოფიციალურად დადგენილია 5 სამუშაო დღე, თუმცა პრაქტიკის გათვალისწინებით დაშვება შესაძლებელია მოხდეს დადგენილი ვადის გასვლამდეც;
- უკრაინის არქივები - 3-5 დღე თუმცა პრაქტიკაში ეს დრო ნაკლებია;
- უზბეკეთი - ოფიციალურად დადგენილი არაა დაშვების ვადა, პრაქტიკაში ლოდინის დრო აღემატება 5 სამუშაო დღეს;
- ჩეხეთის და უნგრეთის არქივებში - დადგენილია 5 დღიანი ან უფრო ხანგრძლივი ლოდინის ვადა;
- პოლონეთის ეროვნული მეხსიერების (IPN) არქივი - დადგენილია 5 დღიანი ვადა;
- რუმინეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივი - დადგენილია ძალზედ ხანგრძლივი, 30 დღიანი ვადა, თუმცა პრაქტიკაში მკვლევარები დარბაზში დადგენილი ვადის გასვლამდე დაიშვებიან.

მკვლევრისთვის საქმიანობის გამარტივების კუთხით საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც საძიებო დოკუმენტები მკვლევრებს დარბაზებში მიეწოდებათ ელექტრონული ფორმით. აღწერილობების 50%-ზე მეტს ელექტრონული ფორმით მკვლევრებს აწვდის შემდეგი არქივები: პოლონეთის უახლესი ისტორიის არქივი, ლატვიის ეროვნული არქივი, ლიეტუვის არქივები, რუმინეთის ეროვნული არქივი.

მიეწოდება ნაწილობრივ (0-50%): ბულგარეთი, ჩეხეთი, პოლონეთის ეროვნული მეხსიერების (IPN) არქივი, რუმინეთის უსაფრთხოების სამსახურის არქივი, უკრაინის ორივე არქივი. საქართველოს არქივებში მკვლევარებს მიეწოდებათ მხოლოდ სკანირებული აღწერილობები. მკვლევარებს საარქივო დოკუმენტები ელექტრონული ფორმით არ მიეწოდებათ შემდეგ ქვეყნებში: აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, უზბეკეთი, რუსეთის არქივები, სომხეთის არქივები.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს წარმოადგენენ ქვეყნები სადაც მკვლევარები შეკვეთილ დოკუმენტებს იღებენ განცხადებიდან იმავე დღეს ან 1-2 დღეში. მსგავსი ვადა განსაზღვრულია მრავალ ქვეყანაში.

სხვადასხვა არქივს დადგენილი აქვს სხვადასხვა რეგულაცია ერთ ჯერზე მიწოდებული საქმეების რაოდენობის კუთხით, რაც იშვიათადაა 20-ზე მეტი, კარგ შემთხვევაში ის მერყეობს 11-20 შორის, ასევე ვხვდებით პრაქტიკას, როდესაც არქივები მკვლევრებს ერთდროულად აწვდიან 6-10 საქმეს. აღნიშნული სრულად წარმოადგენს არქივის უფლებამოსილებას, რადგან ის დაკავშირებულია მრავალი ფაქტორთან, როგორცაა მაგალითად ადამიანური რესურსები და დოკუმენტების დაცულობის ხარისხი. ასევე პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმე ორ ან მეტ მკვლევარს ერთდროულად აქვს გამოწერილი, შესაბამისად უფრო გვიან გამოძიება შესაძლებელია მოუწიოს შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოცდა. ამ შემთხვევაში დოკუმენტების სკანირება და განუსაზღვრელი რაოდენობის საქმეების მიწოდების შესაძლებლობა ელექტრონულად საუკეთესო გამოსავალია და ხსნის ყველა ზემოქანმოთვლილ პრობლემას.

დასკანერებული დოკუმენტების მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში ასევე კარგი გამოსავალია დარბაზში ფოტოგადაღების დაშვება, რაც ზოგავს მნიშვნელოვან დროს და რესურსს როგორც მკვლევრებისთვის, ისე არქივის თანამშრომლებისთვის. თუმცა სხვადასხვა არქივებს არა მხოლოდ პოსტ საბჭოთა სივრცეში და ყოფილი აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნებში, არამედ ღიაობის მაღალი სტანდარტის მქონე დასავლეთის სახელმწიფოებშიც საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა გააჩნიათ. შეფასებული არქივებიდან ფოტოგრაფირება დაშვებულია ყაზახეთში, ჩეხეთში, ტაჯიკეთში, პოლონეთში, ლატვიაში, ლიეტუვსა და უკრაინაში.

ფოტოგადაღება არ არის დაშვებული შემდეგ ქვეყნებში: ბელარუსი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უზბეკეთი, ყირგიზეთი, უნგრეთი, რუმინეთი, რუსეთი, საქართველო და სომხეთი.

სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული წარსულიდან გამომდინარე განსხვავდება საარქივო დოკუმენტების მდგომარეობაც. თუმცა ძნელად თუ მოიძებნება არქივი, სადაც არ ინახება დაზიანებული საქმეები. ამიტომ, საქმეების მდგომარეობის შემოწმება და მათი რესტავრაცია არქივებში მუდმივი პროცესია. ძალზედ იშვიათია არქივები, სადაც სრულად არის დასრულებული ყველა დოკუმენტის რესტავრირება, შესაბამისი ლაბორატორიის და ამ საქმისთვის დიდი დროის აუცილებლობის გათვალისწინებით. დაზიანებული საქმეების საარქივო დარბაზებში გამოყენება აკრძალულია.<sup>33</sup>

ზემოთქმული ქმნის დამატებით ჰიპოთეტურ პრობლემას, რადგან საარქივო დაწესებულებას შეეძლება ნებისმიერ დროს უარი თქვას დაზიანებული საქმის გაცემაზე მკვლევრისთვის და ამის გადამოწმება შეუძლებელია იქნება დაზიანებული ან დაკარგული საქმეების შესაბამისი სიის საჯაროდ არარსებობის შემთხვევაში.

აუცილებელია სახელმწიფო არქივებმა პროაქტიულად აწარმოონ დაზიანებული ან დაკარგული საქმეების სია და საჯარო გახადოს ის. საარქივო საქმის რესტავრაციის დასრულების შემდეგ არქივი ამოიღებს მას დაზიანებული საქმეების სიიდან და პირიქით, საქმის დაზიანების შემთხვევაში შეიტანს მას სიაში შესაბამისი განმარტებით თუ რატომ მოხდა საქმის დაზიანება. მსგავსი მოთხოვნით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მიმართა პარლამენტს, რათა საქართველოს საარქივო კანონმდებლობით განმტკიცდეს დაზიანებული საქმეების სიის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება.<sup>34</sup>

ლიაობის შედარებით მაღალი სტანდარტის ქვეყნებსა და არქივებში, ხდება ასეთი სიების წარმოება და პროაქტიულად გამოქვეყნება, მაგალითად: ბულგარეთი, პოლონეთის ახალი და უახლესი დოკუმენტების (AAN) არქივი, რუსეთის არქივები, რომლებსაც გამოქვეყნებას კანონი ავალდებულებს.<sup>35</sup>

საუკეთესო პრაქტიკა დამკვიდრებულია ლატვიაში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს საარქივო დაწესებულებას მისთვის საინტერესო საქმის რესტავრაციის მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ ლიეტუვას არქივში დოკუმენტების რესტავრირება ცენტრალიზებულია და მას განაგებს ლიეტუვის მთავარი არქივისტის ოფისი. შენახვისა და რესტავრირების ყველა პროცედურა მკაცრად რეგულირებულია. შესაბამისად, ყველა დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს თუ რა ხარისხით დაზიანდა და რესტავრირდა დოკუმენტი ან საქმე. არსებობს 3 კატეგორია, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს

---

<sup>33</sup> George M. Cunha, Frazer G. Poole and Clyde C. Walton, The Conservation and Preservation of Historical Records, *The American Archivist*, Vol. 40, No. 3, Setting Priorities for Historical Records: A Conference Report (Jul., 1977), pp. 321-324.

<sup>34</sup> [https://idfi.ge/en/idfi\\_initiative\\_on\\_archival\\_openness\\_was\\_discussed\\_by\\_the\\_parliament](https://idfi.ge/en/idfi_initiative_on_archival_openness_was_discussed_by_the_parliament)

<sup>35</sup> Правила организации хранения, комплектования, учета и использования документов Архивного фонда Российской Федерации и других архивных документов в государственных и муниципальных архивах, музеях и библиотеках, организациях Российской академии наук, утв. Приказом Минкультуры РФ от 18.01.2007 № 19.

დოკუმენტების რესტავრაცია, შენახვა და აკინძვა. რესტავრაციის პროცესში რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

სახელმწიფო არქივების დარბაზებში მუშაობის კუთხით, არსებობს ისეთი პრობლემებიც, რომელთა ასახვა მეთოდოლოგიაში შეუძლებელია, თუმცა ქმნის დაბრკოლებას ღიაობის კუთხით. ზოგიერთ არქივში, მაგალითად რუმინეთის და უნგრეთის არქივებში, საჭიროა დოკუმენტების ფართო ჩამონათვალი დაშვებისთვის, როგორებიცაა განათლების ხარისხის ასლები, მოტივაციის წერილი და სტუდენტებისთვის, აკადემიური ხელმძღვანელის რეკომენდაციის წერილი.

საქართველოს ეროვნულ არქივში აუცილებელია კვლევის მიზნების დასაბუთება და საკვლევი ქრონოლოგიური ჩარჩოების მითითება ვრცელ წერილში. ასევე მკვლევარს თუ დასჭირდა მომიჯნავე წლების მასალის გაცნობა, ან თემის მცირედით შეცვლა, მან ხელახლა უნდა დაწეროს მოთხოვნა არქივში და კიდევ ერთხელ გაიაროს დაშვებისა და დოკუმენტების მიღების პროცედურები. საქართველოს შსს არქივის ყოფილ უშიშროების კომიტეტის (КГБ) არქივში, მკვლევართა დარბაზი შერწყმულია რამდენიმე თანამშრომლის სამუშაო სივრცესთან, რაც გარკვეულწილად დისკომფორტს ქმნის.

ასევე აღსანიშნავია ეროვნული და კულტურული ასპექტები. მაგალითად, პროექტის მკვლევარი ტაჯიკეთიდან პუნქტზე, რომელიც ეხებოდა ერთ ჯერზე გაცემული საქმეების რაოდენობას მკვლევართა დარბაზიდან პასუხობს: „ოფიციალური შეზღუდვები არ არსებობს, მაგრამ, როგორც წესი, 5-6 დოკუმენტი დაშვებულია. თუმცა, შეთანხმების საფუძველზე, შეგიძლია მეტიც გამოითხოვო“. შესაბამისად ასეთ ქვეყნებში პრაქტიკა ხშირად გამომდინარეობს პირადი კავშირებიდან და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ის თუ რამდენად „კარგად იცნობს“ მკვლევარი საარქივო დაწესებულების ხელმძღვანელებს, მკვლევართა დარბაზის თანამშრომლებს და ა.შ. ამასვე აღნიშნავდნენ პროექტის 2018 და 2019 წლის უზბეკეთის არქივების შემფასებლები. მათი მითითებით ცენტრალური აზიის ქვეყნების არქივების შემთხვევაში, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის თუ რომელი ქვეყნიდანაა უცხოელი მკვლევარი, რადგან ამ ნიშნით მოქმედებს განსხვავებული მიდგომები მკვლევართა მიმართ.

აქვე შეგიძლიათ იხილოთ ცხრილი, სადაც განმარტებულია სხვადასხვა არქივის დარბაზში დაშვების პროცედურები, ვადები და მუშაობის ზოგიერთი ძირითადი ასპექტი.

არქივი	შემიძლია თუ არა არქივს მივმართო დაშვებაზე ონლაინ?	რამდენ ხანში დამიშვებენ მკვლევართა დარბაზში?	რამდენ ხანში მივიღებ სასურველ დოკუმენტს არქივში მისვლის შემდეგ?	ერთ ჯერზე რამდენ საარქივო საქმეს მივიღებ?	შემიძლია თუ არა უფასოდ ფოტოს გადაღება საარქივო დოკუმენტი სთვის?	არის თუ არა შენობა ადაპტირებული შუამპირებისთვის?
მატენადარანი - სომხეთის უძველეს ხელნაწერთა ინსტიტუტი	კი	იმავე დღეს	იმავე დღეს	6-10 საქმე	არა	კი
<b>სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის არქივი</b>	არა	-	-	-	არა	არა
აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოლიტიკური დოკუმენტების არქივი	კი	5 დღე	1-2 დღე	6-10 საქმე	არა	არა
<b>აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი და აღრიცხვის განყოფილება</b>	კი	10 დღე	1-2 დღე	6-10 საქმე	არა	არა
ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული არქივი	არა	1-2 დღე	1-2 დღე	6-10 საქმე	არა	არა
<b>ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტის ცენტრალური არქივი</b>	არა	-	-	-	არა	არა
ბულგარეთის ცენტრალური სახელმწიფო არქივი	კი	იმავე დღეს	3-4 დღე	11-20 საქმე	არა	ნაწილობრივ
<b>ბულგარეთის სახელმწიფო უსაფრთხოების კომისიის არქივი</b>	კი	5+ დღე	5+ დღე	20+ საქმე	არა	ნაწილობრივ
საქართველოს ეროვნული არქივი	კი	3-5 დღე	1-2 დღე	6-10 საქმე	არა	ნაწილობრივ
<b>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი</b>	კი	1-2 დღე	იმავე დღეს	20+ საქმე	არა	არა
ყაზახეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო	არა	იმავე დღეს	იმავე დღეს	11-20 საქმე	კი	არა

არქივი						
ყაზახეთის რესპუბლიკის, კარაგანდას რეგიონის მთავარი პროკურატურის სამართლებრივი სტატისტიკისა და სპეციალურ საქმეთა კომიტეტის არქივი	არა	იმავე დღეს	იმავე დღეს	11-20 საქმე	არა	არა
ყირგიზეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივი	არა	-	იმავე დღეს	11-20 საქმე	არა	არა
ყირგიზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი	არა	-	-	-	არა	არა
მოლდოვას რესპუბლიკის ეროვნული არქივი	კი	1-2 დღე	3-4 დღე	6-10 საქმე	არა	ნაწილობრივ
მოლდოვას რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციების არქივი	კი	1-2 დღე	3-4 დღე	6-10 საქმე	არა	ნაწილობრივ
რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საისტორიო არქივი	არა	იმავე დღეს	1-2 დღე	11-20 საქმე	არა	ნაწილობრივ
რუსეთის ფედერაციის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის ცენტრალური არქივი	არა	5+ დღე	5+ დღე	20+ საქმე	არა	არა
უკრაინის უზენაესი ხელისუფლებისა და მთავრობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი	არა	3-5 დღე	1-2 დღე	6-10 საქმე	კი	არა
უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო არქივი	კი	3-5 დღე	1-2 დღე	20+ საქმე	კი	კი
უზბეკეთის სახელმწიფო არქივი	კი	5+ დღე	იმავე დღეს	6-10 საქმე	არა	არა
უზბეკეთის სახელმწიფო უსაფრთხოების არქივი	არა	-	-	-	არა	არა
პოლონეთის თანამედროვე დოკუმენტების ცენტრალური არქივი	კი	იმავე დღეს	იმავე დღეს	11-20 საქმე	კი	კი
პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის არქივი	კი	5+ დღე	იმავე დღეს	6-10 საქმე	არა	არა
უნგრეთის ეროვნული არქივი	კი	3-5 დღე	3-4 დღე	20+ საქმე	არა	ნაწილობრივ



უნგრეთის სახელმწიფო უსაფრთხოების საისტორიო არქივი	არა	5+ დღე	5+ დღე	20+ საქმე	არა	ნაწილობრივ
ლიეტუვის ცენტრალური სახელმწიფო არქივი	კი	იმავე დღეს	იმავე დღეს	6-10 საქმე	კი	ნაწილობრივ
ლიეტუვის სპეციალური არქივი	კი	იმავე დღეს	იმავე დღეს	6-10 საქმე	კი	არა
ლატვიის სახელმწიფო არქივი (ყოფილი რეპრესიული ინსტიტუტების დოკუმენტები)	კი	იმავე დღეს	იმავე დღეს	20+ საქმე	კი	არა
ლატვიის სახელმწიფო არქივი	კი	იმავე დღეს	იმავე დღეს	20+ საქმე	კი	არა
რუმინეთის ეროვნული არქივი	კი	იმავე დღეს	იმავე დღეს	11-20 საქმე	არა	ნაწილობრივ
რუმინეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს არქივი	არა	5+ დღე	5+ დღე	11-20 საქმე	არა	ნაწილობრივ
ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული არქივი	კი	3-5 დღე	5+ დღე	20+ საქმე	კი	ნაწილობრივ
ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის უსაფრთხოების სამსახურის არქივი	კი	5+ დღე	5+ დღე	20+ საქმე	კი	ნაწილობრივ
ტაჯიკეთის რესპუბლიკის კინო-ფოტო-აუდიო არქივი	არა	იმავე დღეს	იმავე დღეს	1-5 საქმე	კი	არა
ტაჯიკეთის რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივი	არა	იმავე დღეს	იმავე დღეს	1-5 საქმე	კი	არა

## განსხვავებები 2018 წლის შედეგებთან შედარებით

2018 წელს განხორციელებული არქივების ღიაობის პირველად შეფასებასთან შედარებით 2019 წელს ნაწილობრივ გაუმჯობესდა სხვადასხვა მაჩვენებელი და ამალდა ღიაობის ხარისხი. აღნიშნული დაკავშირებული იყო პრაქტიკულ გადაწყვეტილებებთან, რომლებსაც არქივები იღებენ, რადგან პირველ წელს შეფასებული 10 ქვეყნიდან, კანონმდებლობებში ცვლილებები უმნიშვნელო იყო ან არ შესულა.

IDFI შეეცადა კვლევის პირველი წლის შედეგებზე დაყრდნობით შეეცვალა გამოვლენილი სისუსტეები საქართველოს ეროვნულ არქივში და შესაბამისი ინიციატივით მიმართა

საქართველოს პარლამენტს. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი სრულად იზიარებდა კანონპროექტის წარდგენის მოტივს, მან უარყო საკანონმდებლო წინადადება. იურიდიული კომიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით, საკანონმდებლო წინადადების მიღებაზე უარის საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ სამეცნიერო-კვლევითი მიზნის არსებობის შემთხვევაში, მკვლევარებს პრაქტიკულად ეძლეოდათ შეუზღუდავი წვდომა სახელმწიფო საიდუმლოებისა და პერსონალური მონაცემების შემცველ დოკუმენტებზე, შესაბამისად IDFI-ის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება ამ ნაწილში იყო გარკვეული რისკების მატარებელი. აგრეთვე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის მთავარმა სპეციალისტმა დამსწრეებს გააცნო იუსტიციის სამინისტროს პოზიცია დარბაზში ფოტოგადაღების დაშვების თაობაზე, რომლის თანახმადაც „ასეთი ფორმით გადაღება შესაძლებელია რისკის მატარებელი იყოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტების უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვინაიდან მას არ ექნება ეგრეთ წოდებული წყლის დამცავი ნიშანი ან შტამპი, ასევე შეიძლება მოხდეს მისი დაზიანება“.<sup>36</sup>

2018 წელთან შედარებით მნიშვნელოვანი - 11%-იანი გაუმჯობესება შეიმჩნევა მოლდოვაში. მკვლევრის ინფორმაციით, რომელმაც შეაფასა მოლდოვის არქივის ღიაობა, აღნიშნული არ იყო დაკავშირებული რაიმე სახის საკანონმდებლო ან რეგულაციის ცვლილებებთან. გაუმჯობესება გამოწვეული იყო არქივებში მენეჯმენტის და შესაბამისი მიდგომების ცვლილებით, რაც პრაქტიკაშიც აისახა.

სამწუხაროდ პროგრესი არ შეიმჩნევა ბელარუსის არქივებში, მიუხედავად პროექტის მკვლევრის, დიმიტრი დროზდის აქტიური სამოქალაქო აქტივიზმისა და კამპანიისა.<sup>37</sup>

## დასკვნა და რეკომენდაციები

არქივთა ღიაობის შეფასების შედეგად დგინდება, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გამოირჩევიან არქივების ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხით, რისი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება იყოს ის, რომ საარქივო კანონმდებლობა ჰარმონიზებულია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ცენტრალური აზიის და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს უფრო მეტად ახასიათებთ პიროვნული მიდგომები საქმიანობაში, ვიდრე სხვა ქვეყნების არქივებს.

<sup>36</sup> [https://idfi.ge/ge/idfi\\_initiative\\_on\\_archival\\_openness\\_was\\_discussed\\_by\\_the\\_parliament](https://idfi.ge/ge/idfi_initiative_on_archival_openness_was_discussed_by_the_parliament)

<sup>37</sup> See most recent activities: [https://idfi.ge/en/archival\\_openness\\_belarus](https://idfi.ge/en/archival_openness_belarus)

უკრაინის არქივების გამჭვირვალობა 2 წლის მანძილზე საუკეთესოა პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებში.<sup>38</sup>

ლატვიის 2018 წელს მიღებული გადაწყვეტილება ყოფილი უშიშროების კომიტეტის (KGB) არქივების სრულ ღიაობაზე<sup>39</sup> წარმოადგენს პრეცედენტულ შემთხვევას და შესაძლებელია იქცეს საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად სხვა არქივებისთვის.

საარქივო დაწესებულებათა ვებგვერდმა და ონლაინ სერვისებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა იმ პირობებში, როდესაც Covid-19 პანდემიის მიმდინარეობის დროს მრავალი დაწესებულება გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, შესაბამისად კიდევ უფრო მოთხოვნადი გახდება ონლაინ სერვისები, მათ შორის სამომავლოდ, დროის და რესურსების დაზოგვის კუთხით. საარქივო დაწესებულებათა ვებგვერდებზე განთავსებული აღწერები, კატალოგები და დოკუმენტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მეცნიერების განვითარებაში.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებმა საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე უზრუნველყონ არქივების ღიაობა და ამ მიზნით გადადგან შემდეგი ნაბიჯები:

- კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და დახვეწა, რის საუკეთესო მაგალითსაც წარმოადგენს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის საარქივო კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის რეგულაციებთან და მათი ღიაობის მაღალი სტანდარტი;
- არქივთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხების ამომწურავად დარეგულირება კანონმდებლობის დონეზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული საარქივო დაწესებულებათა ხელმძღვანელებისთვის ფართო დისკრეციის მინიჭება და თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა;
- ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ზუსტი განმარტების დამატება საარქივო დოკუმენტებთან მიმართებაში;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის რეგულირების სფეროდან იმ დოკუმენტების და მასალების ამოღება, რომლებიც დაკავშირებულია რეპრესიული ტოტალიტარული ორგანოების საქმიანობასთან და რომლის საფუძველზეც ხორციელდება რეპრესიების მსხვერპლთა იდენტიფიცირება და მათი სამართლებრივი რეაბილიტაცია.

საარქივო დაწესებულებებმა საკუთარი საქმიანობის პროცესში უნდა გაითვალისწინონ რომ:

- დაუშვებელია არქივში დაშვების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებისა და მკვლევართა/მოქალაქეთა საარქივო მასალებთან დაშვებისას საარქივო

<sup>38</sup> Open-Archives.org 2018 and 2019 evaluations. See: <http://open-archives.org/en/rating>

<sup>39</sup> <https://eng.lsm.lv/article/society/society/first-batch-of-latvias-kgb-archives-published-online.a303704/>

დაწესებულების წარმომადგენელი ხელმძღვანელობდეს პირადი შეხვედრელებით და მოტივებით. ყველა ასპექტი დარეგულირებული უნდა იყოს კანონმდებლობით.

ონლაინ-სერვისების მიმართულებით მნიშვნელოვანია:

- შემუშავდეს სერვისების და დოკუმენტების ელექტრონულად მიწოდების სტრატეგია და ეტაპობრივად გაიზარდოს გაციფრულებული საარქივო მასალების რაოდენობა;
- პროაქტიულად ქვეყნდებოდეს დაზიანებული ან/და დაკარგული საქმეების სია. სია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საარქივო დაწესებულებათა ვებგვერდებსა და მკვლევართა დარბაზებში.

საარქივო დაწესებულებათა დარბაზებში მკვლევართა მომსახურებისას აუცილებელია:

- დაშვებული იყოს საარქივო მასალათა საკუთარი ფოტოაპარატით გადაღების შესაძლებლობა;
- მომსახურებისას მაქსიმალურად გამოიყენებოდეს თანამედროვე, ელექტრონული და ციფრული პლატფორმები.